ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 38/3

„16“ „03“ 2011 წ. ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო“-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“), გენერალური დირექტორის ალექსანდრ ალბინის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2011 წლის ასიგნებების ფარგლებში, საწვავის შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 27 345 (ოცდაშვიდი ათას სამას ორმოცდახუთი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. ბენზინი „სუპერი“ 98 ოქტანობის – 1 150 ლიტრი, ერთეულის ფასი – 2.30 ლარი (სულ: 2 645 ლარი);

3.2. ბენზინი „პრემიუმი“ 95 ოქტანობის – 10 000 ლიტრი, ერთეულის ფასი – 2.25 ლარი (სულ: 22 500 ლარი);

3.3 ევრო დიზელი – 1 000 ლიტრი, ერთეულის ფასი – 2.20 ლარი (სულ: 2 200 ლარი);

3.4. საქონლის ფასი შეიცავს ყველა ხარჯებს, რაც დაკავშირებულია მის მიწოდებასთან, მათ შორის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. შესასყიდი საწვავის რაოდენობის შესაბამისი ტალონების მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, არაუგვიანეს 2011 წლის 20 მარტისა.

4.1.2 საწვავის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ტალონების (5, 10, 20, ან 40 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით) საფუძველზე, შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით.

4.2. ადგილი:

4.2.1 საწვავის მიწოდება განხორციელდება საქართველოს მასშტაბით, მიმწოდებლის ბენზინგასამართ სადგურებზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება (ტალონების მიღება-ჩაბარება) განხორციელდება ერთჯერადად, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

5.2. "მიმწოდებელი" ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს "შემსყიდველს" (ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში. ტალონების დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი ეკისრება „შემსყიდველს“, ამასთან უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავზე გადაცვლას.

5.3. საქონლის გაცემა წარმოებს "შემსყიდველის“ მიერ დამოწმებული ტალონების საფუძველზე, რისთვისაც "შემსყიდველმა“ ტალონის უკანა მხარეზე უნდა დასვას თავისი ბეჭედი. დაუმოწმებელ ტალონზე საქონელი მის დამოწმებამდე არ გაიცემა. ყოველი ტალონი უნდა იყოს დამოწმებული "მიმწოდებლის" ბეჭდით და მასზე უნდა იყოს აღნიშნული:

- "მიმწოდებლის“ დასახელება
- ტალონის ნომერი
- საქონლის სახეობა
- საქონლის რაოდენობა

5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველის“ კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა ტალონში აღნიშნული საქონლის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება სათანადო წესით დამოწმებული ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

5.5. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

5.6 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6. ანგარიშსწორების პირობები
6.1.ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2 მიწოდებულ საქონელზე (შესასყიდი საწვავის მთლიანი რაოდენობის შესაბამისად მიწოდებულ ტალონებზე) ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი 1) და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ტალონების გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს საწვავის ღირებულების დროული და სრული გადახდა.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - გურამ გიორგობიანი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 22 აპრილამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (--4 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი — „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144,

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

დავით ლომიძე

მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „რომპეტროლ საქართველო"
ქ. თბილისი, 0108, სანაპიროს ქ. №6

„საქართველოს ბანკი",

ბანკის კოდი №RTGS (BAGAGE22)
ა/ა №119347600
ს/კ 204493002

ალექსანდრ ალბინი

გენერალური დირექტორი

ვიზა: ზ. დარჩია

ნ. ცხოიძე

გ. კაკუშაძე

ი. ქიტიაშვილი

ლ. ჩხეიძე

გ. გიორგობიანი

ხელშეკრულების პროექტი მოამზადა;
ი. მარგიშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

„ —— “ ———— 2011 წ. ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი ----------

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

2011 წლის „ ——“ „ ————“ № —— ხელშეკრულების პირობით სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში მოწოდებული საქონლის ღირებულებამ

(თვის დასახელება)

შეადგინა ----------

(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

საქონლის ღირებულება, ანაზღაურებულია ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	**ჩააბარა**
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.